

საბრძოლო

საერთო გაზეთი გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბერიდან პარასკევი, 4 თებერვალი 1994 № 6 (81) ფასი 4000 კუპონი

ფერლანასთან — 2:3 ?!

დღეს, «თანამებობის თასის» ფინალში, თბილისის «დინამო» და მოსკოვის «სპარტაკი» აღარ იტყობენ: საქართველოს ჩემპიონი ვუსულ უინ დაბრუნდა

ტყუილად გაისარჯნენ „თანამებობის თასის“ მეორე გათამაშების ორგანიზატორები: შარშანდღისგან განსხვავებით მათ ისე გააკეთეს ყველაფერი, რომ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ ამჯერად ფინალამდე არ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. მოსკოვის საფეხბურთო წრეები დიდი ინტერესით ელოდნენ სწორედ ასეთ ფინალს, მაგრამ ნახევარფინალი დინამოელებსათვის კვლავ მარცხიანი აღმოჩნდა: ფინალში უზბეკეთის ჩემპიონი ფერლანას „ნეფთჩი“ გავიდა.

ძალით ხომ არ წააგესო — მატჩის შემდეგ მეკობრეობდნენ ჩემი რუსი კოლეგები. ვანზრახ ნაღდად რომ არ წაუგიათ, ამაზე თავს დაედებდნენ, მაგრამ ის, რაც „ნეფთჩისთან“ მეორე ტაიმში მოხდა, მართლაც ძნელი ასახსნელია. არადა, „დინამომ“ ისევე კარგად ჩაატარა პირველი ტაიმი, როგორც წინა მატჩები და უკვე 30-ე წუთისთვის რევიშილი და ინალიშვილი თითქმის ყველა იმედი გადაუწურეს უზბეკებს, მაგრამ... ტაიმი რომ ასე დამთავრებულიყო, ფერლანალებს ალბათ აღარაფერი უშველიდათ, მაგრამ ბოლო წუთზე მარტივ სიტუაციაში, აუტის ზახთან გამარჯვება დაკარგა ბურთი და ამას თბილისელთა საჭარბოში პენალტი მოჰყვა. „ნეფთჩის“ შტაბიანმა პენალტი-სტმა ფიოდოროვმა ძლიერი დარტყმით შეამცირა სხვაობა და ვინაიდან დრო უკვე გასული იყო, გუნდები პირდაპირ გასახდლებში წავიდნენ.

მეორე ტაიმი კი... მატჩის შემდეგ ჩვენი ბიჭები წაგებაზე მეტად იმაზე უფრო იყვნენ შეწუხებულნი, რაღა მინცდამაინც ეს ტაიმი ნახეს საქართველოში. მართლაც, ქართველმა გულშემატკივრებმა ოთხშაბათ საღამოს „დინამოს“ ყველაზე სუსტი თამაში იხილა და ბევრი აღარც დაიჯერებს, რომ წინა თამაშებში თბილისელები სულ სხვაგვარად გამოიყურებოდნენ. მოკლედ, ნახევარფინალის მეორე ნახევარში „დინამომ“ ვერაფერი ხეირიანის გაკეთება ვერ შეძლო, დაცვის შეცდომებმა კი პირველი ტაიმის უპირატესობაც გააქარწყლა. თუმცა თამაშის ხსნა კიდევ

შეიძლებოდა, მაგრამ ინალიშვილმა პენალტიდან პირდაპირ ხელში დაურტყა ბურთი მეკარე ოსმანოვს, რომელიც წესით კარში არ უნდა მდგარიყო — მან პირისპირ გასული ინალიშვილი მოცელა და ამისთვის მოედინიდან გაძევებაც ეკუთვნოდა, მაგრამ მსაჯმა ყვეთელი ბარათი აკმარა. ამ ეპიზოდმა ხუთიოდე წლის წინანდელი ამბავი გამახსენა: 1989 წელს სოხუმის „დინამო“ სსრკ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ მატჩში სწორედ ფერლანას „ნეფთჩის“ ხედვებოდა. მატჩის ბოლო წუთებზე სწორედ მეკარესთან პირისპირ გასული გელა ინალიშვილი მოცელეს და მაშინაც პენალტი დაიდო, თუმცა გულშემატკივრები მატჩისაგან განსხვავებით, ჩვენებმა ის პენალტი გამოიყენეს და გამარჯვეს. გადაწყვეტი გოლის ავტორი რომან ხაგბა იყო...

მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე უზბეკთა საჭარბოში ყველაშვილი წააქციეს, მაგრამ ფიოდოროვმა ველარ გაბედა მეორე პენალტის დადგენა, თუმცა კი ტრიბუნაზე ჩემს გვერდით მჯდარი წარსულში ცნობილი მსაჯი ბასკაკოვი, თამაშის შემდეგ იხსნა, ასპროცენტებიანი პენალტი იყო. ასეა თუ ისე, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი თავის უზბეკ კოლეგასთან დამარცხდა და მოსკოველი გულშემატკივარიც (ქართველებზე აღარაფერს ვამბობ) გულდაწყვეტილი დარჩა — „სპარტაკისა“ და „დინამოს“ თამაში მომავალი წლისთვის გადაიდო.

ფერლანელთა მწვრთნელს იური სარქისიანს ერთმა რუსმა ჟურნალისტმა ჰკითხა — თვლით, რომ თამაშით მოიგეთო? თქვენ რა, თამაშისთვის არ გიყურებთ? კითხვითვე მიუგო სარქისიანმა და ქედმაღლობას მას ვერაფერს დააბრალებს — „ნეფთჩი“ ღირსეულად გავიდა ფინალში.

მატჩის შემდეგ ჩემმა რუსმა კოლეგებმა „სპორტ-ესპრესიდან“ და „ფუტბოლის კურიერიდან“ მითხრეს, ფინალის ნახვა აღარც ღირსო, ჩემს უკან მჯდომ ვინესლავ კოლოსკოვს კი ისეთი გაოგნებული სახე ჰქონდა, ალბათ მხოლოდ რუსეთის ნაკრების



წაგებისას რომ ექნებოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. რა გასაკვირია, რომ „დინამოს“ წაგება ყველაზე მეტად ტურნირის ორგანიზატორებს ეწყინათ, რადგან 35 ათასიან „ოლიმპისკიში“ „სპარტაკი“ — „დინამოს“ ფინალზე ცარიელი ადგილი არ დარჩებოდა. თავად განსაჯეთ: „დინამოს“ ნახევარფინალზე 8 000 კაცი მივიდა, „სპარტაკისაზე“ კი 6 000 მაყურებელი დარჩა. ჩვენს ფეხბურთელებს მატჩის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდათ. გივი ნოდიამ ისღა მითხრა, რომ ყველაფერი ჯგუფური ტურნირის ბოლო დღემ გადაწყვიტა, როცა ჩვენებს პრინციპული მატჩი ჰქონდათ, „ნეფთჩიმ“ კი რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან თამაში სავარჯიშოდ გამოიყენა და ნახევარფინალისთვის ძალები დაზოგაო, ამას ნემსაძის არყოფნაც დაუმატა და არც პირადად მისი და ფეხბურთელების შეცდომებაც დაეწყინა.

ნოდიასთან ინტერვიუ და მოსკოვში მოპოვებული სხვა მასალები დღევანდელი ნომრისთვის ველარ მოესწრო; რადგან თბილისში წუხელ ყველანი გა-

სავითებულეები დაებრუნდით და რედაქციამდე მისვლა ძლივსა მოვახერხე.

მაშუბა კვარაცხელია
„სარბიელის“ სპეც კორესპონდენტი.
მოსკოვი — თბილისი.

ალექსანდრე ფელორეცის ფოტო გულშემატკივრების დიბუტა და ქვეყნდება ზვენი მოსკოველი კოლეგების თავაზიანი ნებართვით.

ნახევარფინალი
„დინამო“ — „ნეფთჩი“ (ფერლანა) 2:3
„დინამო“: ჩხეიძე, ბერაძე (კიკნაძე 78), ლომიანიძე, ტყეშელაშვილი (სოლოდოვინი 68), რევიშვილი (იაშვილი 84), ინალიშვილი, ძველაძე, ჯამარაული, ვაჟა ზუგული, ანაბაძე.
„ნეფთჩი“: ოსმანოვი, მიკლიაველი, ფიოდოროვი, მამოტოვი, ვოლკოვი, ა. დურმანოვი, ატოიანი, ზავალნიუკი, ბაზაროვი, კტიბაევი, რ. დურმანოვი.
გოლები: რევიშვილი (10), ინალიშვილი (31), ფიოდოროვი (45), რ. დურმანოვი (57), ზავალნიუკი (66).
გაფრთხილება: ინალიშვილი, ბაზაროვი, ლომიანიძე, რ. დურმანოვი, ოსმანოვი. მსაჯი: ფიოდოროვი (რუსეთი).
„სპარტაკი“ — „კოპეტდალი“ 5:1
გოლები: ბესჩასტინი (38, 81), ლედიანოვი (63), როდონოვი (69, 71), მინგაზოვი (82).

„პარმა“
სასწაული
მოახდინა
ევროპის
სუპერთასზე

უკეთესი
მოთხოვნის
იქველი

European Handball Championship Portugal 1994

ხელბურთელთა
ევროპული
დებიუტი

ლომინიკ
ვილკინსი:
23 000 ქულა!

ზამთრის
ოლიმპიადა:

Lillehammer '94
გახსნის კვირაძალს

„პითბრედის“
რეპატა:

White Bread Beer
Best Bitter

ჩვენ რომ გვკონია,
ისე არ არის

ქართული
რაბბი

უცხოურ პრესაში:
ჩვენთვის
სასარგებლო
ლამაზი სიცრუე

სადაა გურამ გაბესკირია?

თბილისში რუსეთის პრეზიდენტის გულშემატკივრებმა სტუმრობამ კვლავ წამოატივტივე „ცხუმის“ პრეზიდენტის, გურამ გაბესკირიას სახელი, რომლის ბედი სოხუმის დაცემის შემდეგ დანამდვილებით არავინ იცის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა შეწვევა სთხოვა პრეზიდენტ ელცინს გაბესკირიას განთავისუფლების საქმეში. როგორც ფეხბურთის ფედერაციის მიმართვაშია ნათქვამი, „ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, იგი ცოცხალია და ტყვედ ჰყავს აფხაზთა მხარეს“. ახალკაცმა განაცხადა, რომ მიმართვა გურამ გაბესკირიას განთავისუფლების შესახებ დაეგზავნება ფიფა-ს, უფფა-ს და რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ახალკაცი ადრეც აპირებდა, მიემართა საერთაშორისო ინსტიტუტებისთვის, მაგრამ გაბესკირიას ოჯახის თხოვნით, ეს აქამდე არ გაუკეთებია.



ქართველებს დუშანბეში პატივებიანი

14-დან 23 თებერვლამდე ტაჯიკეთის დედაქალაქში საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი ტარდება, რომლის საპრიზო ფონდით 50 000 დოლარია. ტურნირის ორგანიზატორები მოხარულნი იქნებიან, თუ რომელიმე ქართული გუნდი ტურნირში მონაწილეობას დააპირებს. მსურველებმა დაურეკონ: (3772) 35-06-86, ზაირ ბაბაევი.

უელსის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ტერი იორატის განაცხადი...



ჯონ ტოშაკი

განვიგადოთ საფეხბურთო საქმიანობა, დავამტკიცო ჩემი მალაღობი...

მოსსნა-დანიშვნა უელსურად

რომლის დაყოფილებას ცდილობდა, მაგრამ მანც ამდროინდელად...

ასეა თუ ისე, ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, გულმოდგინებით...

ტერი იორატი



არაბთა ბაპარტიანებულ საემირატებში...

იტალიელთა საშინაო საქმეში...

ევროპის სუპერთასის გათამაშებაში...

სსპს-ის ფეხბურთში მძიმე დანაკლისი...

არბანტინელი დიეგო მარადონას...

ბაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში...

საქართველოში უელსურად...



შემდეგ კი მანვე დაცვაში შეცდომა დაუშვა...



ლუ მაკარი

საქართველოში ხელთი თამაშისთვის დანიშნული პენალტი...

შოტლანდიის „სელტიკს“ მწვრთნელზე...

ნდორზე, ისე მის გარეთ, მწვრთნელის კლუბის...

ინგლისის ცნობილი კლუბმა „ლივერპულმა“...

პირველ ყოვლისა, მკითხველთა თხოვნით...

ქართველები ევროპის ჩემპიონატებზე

შედარებით ნაკლებ ქულებს დააგროვეს...

ევროპის ჩემპიონატი 16-წლიანთა შორის...

- IX: საქართველო, სომხეთი, სლოვენია. X: ისრაელი, უკრაინა, გერმანია...

- IV: იუგოსლავია, ესპანეთი, ფინეთი. V: მალტა, რუსეთი, ესტონეთი...

ტოტალიზატორი

"CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიყენოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (შეთუდის სისუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტი - 4,0. ფსონის მინიმალური თანხა 5 000 კუპონი. ფსონების გარანტიების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს სასტუმრო „ჭარის“ ფოიეში 13-დან 16 საათამდე. დაწვრილებით წესებს შევიძლიათ გავცნოთ სასტუმრო „ჭარის“ ფოიეში.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

Table with columns for match type (1, X, 2) and various match results like 6 თებერვალი, 7 თებერვალი, etc.

15 თებერვალმდე მოქმედი კოეფიციენტები

ფრანკული ტურნირები

ფრანკულ ტურნირებში მითითებულია მოგებების გაცემის დანაშაულის თარიღი. კოეფიციენტები მრავალდება მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ერთი ან ორი დღის განმავლობაში.

ნახევარფინალი გასვლა (13.04)
ბარსელონა - 1,3
მონაკო - 1,4
სპარტაკი - 1,8
გალათასარაი - 1,8

ფინალი (13.04)
ბარსელონა - 1,4
მონაკო - 3,8
სპარტაკი - 4,5
გალათასარაი - 5,5

ჩემპიონთა თასი (18.05)
მონაკო - 2,1
ბარსელონა - 2,4
ვერდერი - 3,7
პორტუ - 5,2

თასების თასი (04.05)
აიაქსი - 3,2
პარმა - 3,2
რეალი - 3,2
არსენალი - 3,5
ტორინო - 5,0

უფსას თასი (11.05)
იუვენტუსი - 2,2
ინტერი - 2,2
აინტრახტი - 2,8
ბორუსია - 4,8
კალიარი - 7,5
კარლსრუე - 9,0
ბოავიშია - 23,0
კაიზერი - 45,0

პროფესიონალი ჩემპიონთა თასი
ინგლისი (08.05)
მანჩესტერ იუნაიტედი - 1,4
ბლემპტონი - 8,0
ლიდსი - 10,0
არსენალი - 10,0
ნიუკასლი - 25,0
ლივერპული - 30,0
დინამო - 100,0

გერმანია (08.05)
ბაიერნი - 2,8
აინტრახტი - 3,0
ლევერკუზენი - 3,0
ვერდერი - 3,5
კაიზერსლაუტერნი - 4,5
პაპენოი - 7,0
დორტმუნდი - 9,0
ფანანონენი - 50,0

იტალია (01.05)
მილანი - 2,0
იუვენტუსი - 2,5
სამპდორია - 3,0
ინტერი - 4,8
პარმა - 4,8
ლაციო - 10,0
ნაპოლი - 30,0
დინამო - 50,0

ესპანეთი (15.05)
ლა კორუნია - 2,5
ბარსელონა - 2,5
რეალი - 3,0
ბილბაო - 7,5
სპორტინგი - 25,0
დინამო - 50,0

ტირაჟი № 01 12-13 თებერვალი

Table with columns for match number, odds, and results for various leagues like German Cup, Italian Cup, etc.

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში - ყოველი კვირის ხუთშაბათი, 15 საათამდე. ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

თუ თაგაშია, თაგაში იყოს!

სიძარღვე ვთქვით, კუპონის თავბრუდამხვევმა ალბინადამ დააბნია არა მარტო ტოტოლოტოს მოთამაშენი, არამედ მისი ორგანიზატორებიც. ჩვენი იძულებითი შესვენებაც დაბნეულობით იყო გამოწვეული. ახლა, როცა კუპონი „სტაბილური“ გახდა და პიკმა 110 ნიშნულს მიაღწია (სპეციალისტების გამოთვლით, დღევანდელი 2000 კუპონი თავისი მსყიდველობით უნარით ხუცო წლის წინანდელი 1 კაიკის ტოლია), გაგებდეთ გავგებულებიან საფეხბურთო პროგნოზის გათამაშება და, ჩვენი აზრით, მისთვის მეტი ინტერესი შეგვექმნა. ამიტომაც შევცვალეთ ტოტოლოტოს დებულების რამდენიმე პუნქტს.

- 1. იმ შემთხვევაში, თუ თერმეტრზე შედეგს ვერაფერს გამოიცილებს, მოგება გაიცემა 10 შედეგის გამოცნობაზე;
2. ბილეთის ფასი გახდა 100 კუპონი, ხოლო გარანტია - 300;
3. იმის მიუხედავად, თუ რა თანხა შემოვა თითოეულ ტირაჟში, მოგების ფონდის უდაბლესი ზღვარი 1 მილიონი კუპონი იქნება. უკეპოტის შემთხვევაში მოგების ფონდი შესაბამისად გაიზრდება.

მაშ ასე:
25% - ჭკპა, 25% - ალლო,
25% - ალლო, 25% - ილალი და...
შეე ასაროცნებანი მილიონარი ხარ!

ქმეუხი

საქართველო-ავსტრიის ერთობლივი სანარმო

- თარგმნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე
- თარგმანისა და ნებისმიერი სხვა ტექსტის ბეჭდვა გერმანულად, ინგლისურად და რუსულად
- თარგმნა, ბეჭდვა, ფაქსისა და ტელექსის გაგზავნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში
- ტელექსისა და ფაქსის მიღება ნებისმიერი ქვეყნიდან
- ქსეროასლების დამზადება

დავით აღმაშენებლის გამზირი 67
ტელეფონები: 95 11 62, 95 10 63, 95 11 02

ტურისტული ფირმა გათავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

პოლანდია-ბელგია - მანქანის ჩამოყვანით. პირდაპირი რეისი თბილისი - პრაღა. გასვლა პრაღიდან კომფორტული ავტობუსით. საბურთალოს მიღება სასწრაფოა. ფირმა დაგეგმავს მანქანების შექმნას.
კაირო-ალექსანდრია - გასვლა ყოველ ორშაბათს პირდაპირი რეისით საბურთალო (სალონი) - პირდაპირი რეისი თვითმფრინავით ან ავტობუსით სირია-თურქეთი (ალკო) - მგზავრობა თბილისიდან კომფორტული ავტობუსით ფინეთი (ჰელსინკი) - გასვლა სანქტ-პეტერბურგიდან ავტობუსით თბილისი-ბელგარეთი (ვარნა), თურქეთის გავლით. სტამბულში 2 დღე, ვარნაში 5 დღე. მგზავრობა კომფორტული ავტობუსით
დაწვრილებით ცნობებისთვის მოგვართეთ მისამართზე: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ., II ჩიხი, №3 (სილაშაშის სალონი „პარმონია“) ან ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული
ტელეფონები: 29-29-97; 39-36-78; 39-24-32

